მუნიციპალური განვითარების ფონდი
აზიის განვითარების ბანკი (აგბ)

სესხი N 3273 - GEO: საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა (პირველი ტრანში)

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა პროექტის მენეჯერის დასაქირავებლად
Ref. No: SUTIP4-IC-03-2017

პროექტი ფინანსდება საქართველოს მთავრობისა (სმ) და აზიის განვითარების ბანკის მიერ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკიდან მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (SUTIP) მე-4 ტრანშის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილით მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) დააფინანსებს ადგილობრივ პროექტის მენეჯერს (შემდგომში „კონსულტანტი“), რომლის ძირითადი მიზანი იქნება, პროექტის მთლიანი ციკლის მართვა, აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მონიტორინგისა და ანგარიშგების კოორდინაცია მხარეებს შორის და განხორციელების პროცესის მონიტორინგი. პროექტის მენეჯერი წარმოადგენს მგფ-ს და კოორდინაციას გაუწევს პროექტების ფარგლებში ყველა დაინტერესებულ მხარეს (ინჟინერი, კონსულტანტი, კონტრაქტორი და სხვა). დეტალები მოცემულია სამუშაოთა აღწერილობაში, ქვემოთ მოცემულ ბმულზე.

კონტრაქტის ხანგრძლივობა იქნება 24 თვე, სრული განაკვეთით.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 2017 წლის 1 ივნისი, 17:00 საათი.
დაინტერესებულმა პირებმა ინტერესი უნდა გამოხატონ და პირადი მონაცემები ატვირთონ აგბ-ს „კონსულტანტთა მართვის სისტემაში“ (Consultant Management System), შემდეგ მისამართზე:

https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_HOME_PAGE